„გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) აღსრულება საქართველოში.

ქრისტინა კოროშინაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა (ბუნებათსარგებლობის MBA) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი მაჭარაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2017

აბსტრაქტი

წლების განმავლობაში არალეგალურმა და უკონტროლო საერთაშორისო ვაჭრობამ გადაშენების საფრთხე შეუქმნა არაერთ სახეობას. ყოველწლიურად ხდება უამრავი ველური მცენარისა და ცხოველის ბუნებიდან ამოღება სხვა ქვეყნებში მათი გაყიდვის მიზნით. მათ მოიპოვებენ სხვადასხვა პროდუქტის, ეგზოტიკური ტყავის, ბეწვის, მუსიკალური ინსტრუმენტების, სამკაულების, სუვენირებისა და სამკურნალო საშუალებების დასამზადებლად. საერთაშორისო ვაჭრობის ძირითად ობიექტებს წარმოადგენენ მაიმუნები, თუთიყუშები, ეგზოტიკური თევზები აკვარიუმებისთვის, სპილოს ძვლისგან დამზადებული ნაკეთობები, მარჯანი, ნიანგის, ალიგატორის და გველის ტყავისგან დამზადებული სხვადასხვა სუვენირები, შავი ხიზილალა, კაქტუსები, ადრე გაზაფხულის მცენარეთა ბოლქვები (თეთრყვავილა და ყოჩივარდა) და ა.შ

ნაშრომის მიზანია, გავიგოთ რა როლს ასრულებს კონვენცია ჩვენი ქვეყნის გარემოს დაცვაში, სახეობების კონსერვაციის კუთხით. გარდა ამისა, კვლევის მიზანია გავიგოთ, როგორ ხდება კონვენციის აღსრულება საქართველოში და რა სახის დარღვევებთან გვაქვს საქმე.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შეირჩა კონვენციის მაკონტროლებელი მხარეები, ერთის მხრივ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში შემავალი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი და მეორეს მხრივ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი. გარდა ამისა, კვლევა ჩაუტარდა კონტროლის ობიექტებსაც - ზოომოღაზიების თანამშრომლებსა და ინტერნეტის მეშვეობით ეგზოტიკური სახეობებით მოვაჭრეებს.

კვლევის შედეგად დადგინდა, რა როლს ასრულებს კონვენცია საქართველოში სახეობების კონსერვაციის მიმართულებით, ამასთან, გამოვლინდა სისტემური პრობლემები, რომლებსაც ვაწყდებით ქვეყანაში კონვენციის აღსრულებასთან დაკავშირებით.